განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე "საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

რეგლამენტის პროექტის შემუშავება განაპირობა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებული საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის ჯგუფის საქართველოს სასჯელაღსრულებების დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე გამარტივებული წესით შესვლის აუცილებლობამ, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების შეუფერხებელ განხორციელებას, მონიტორინგის სტაბილურ რეჟიმში მსვლელობასა და დროული, კანონით გათვალისწინებული წესით სათანადო სამართლებრივ რეაგირებას მისი მხრიდან.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი:

რეგლამენტის პროექტის მიზანია "საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" იმ ცვლილებების შეტანა, რომლის საფუძველზეც საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის სამუშაო ჯგუფს მიენიჭება საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სპეციალური ნებართვისა და პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანების გარეშე შესვლის უფლება, რომელიც მოიცავს აღნიშნული ჯგუფის წევრების უფლებამოსილების კანონით გათვალისწინებულ ვადას.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის მიხედვითაც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ მონიტორინგის სამუშაო ჯგუფს ენიჭება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება, რომელიც არ იქნება დამოკიდებული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემულ ბრძანებაზე, რაც თავის მხრივ, პარლამენტის წევრის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლას ითვალისწინებს და აქვს ერთჯერადი ან კონკრეტული ამოცანის ფარგლებში მოქმედების განსაზღვრული შეზღუდული ვადა.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირებისათვის, რომლებზეც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) რეგლამენტის პროექტის ავტორი

პარლამენტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე

დ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი

პარლამენტის წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე